ნია ბასარია

კოიმბრას უნივერსიტეტი, პორტუგალია

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

“გაცვლითი პროგრამით ევროპაში წასვლა ჩემს 2023 წლის გეგმებში ნამდვილად არ ყოფილა. არ მქონდა ენის სერთიფიკატი და არაერთი პროექტი მქონდა წამოწყებული საქართველოში. როდესაც უნივერსიტეტის ვებგვერდზე გავეცანი ინფორმაციას, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს პორტუგალიაში, კოიმბრას უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩემი გეგმები წამიერად შეიცვალა.

დაბრკოლებებით სავსე იყო პორტუგალიაში გასამგზავრებლად მზადების პროცესიც, თუმცა გამშვები და მიმღები უნივერსიტეტების ჩართულობით, ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ დალაგდა. წარმატებით შევძელი მიმდინარე პროექტების იმგვარად დაგეგმვა, რომ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შემძლებოდა მათზე მუშაობა.

პორტუგალიაში დაფრენისთანავე ვიგრძენი თუ რამდენად მზიან და ფერად ქვეყანაში ვიყავი მოხვედრილი და მიზნად დავისახე მათი კულტურა დეტალურად შემესწავლა. ერასმუს პროგრამის ფარგლებში დავიწყე პორტუგალიური ენის სწავლა და აქტიურად ჩავერთე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. კოიმბრას სტუდენტების ქალაქს უწოდებენ და ეს ასეცაა - ქუჩებში ჰარი პოტერის პერსონაჟების მსგავსად გამოწყობილ ხმაურიან სტუდენტებს მალევე უნდა შეეჩვიო, ხოლო თანამედროვეობისა და 1290 წლიდან შემონახული ტრადიციების ასეთ ტანდემს იშვიათად იხილავ.

ერასმუსის მთავარი ღირებულება ისაა, რომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან იძენ მეგობრებს და თანამოაზრეებს. ეს იყო იდეალური პლატფორმა, სადაც აქტიურად განვიხილავდით ჩვენი ქვეყნების სოციალურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობას. არ დაგვიწყებია გლობალური საკითხებიც და "ფსიქოლოგია მდგრადობისათვის" კურსის ფარგლებში, მედიცინის ფაკულტეტის შენობაში დავაარსეთ სივრცე ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაციისათვის.

ამ ერთმა სემესტრმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს პიროვნულ განვითარებაში. ჩემი გონება სულ სხვანაირად გაიხსნა ახალი შესაძლებლობების მიმართ და ეს პორტუგალიაში დაგროვილი გამოცდილებების დამსახურებაა - აქტიურად ვმოგზაურობდი, ვეცნობოდი ახალ სამზარეულოებს, სპორტის სახეობებს, მუსიკას, უდიდეს ტექ-ღონისძიებაზე “ვებ სამიტზეც” კი მივიღე მონაწილეობა. კომფორტის ზონიდან მაქსიმალურად გავედი და საკუთარ თავში ახალი ძალა აღმოვაჩინე.”